თვითმმართველი თემი
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 33

„05“ ივნისი 2015 წ.

# „თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, ნასყიდობის ხელშეკრულების და საჯარო აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №5 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე,თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „თვითმმართველი თემის თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმების, საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის, ნასყიდობის ხელშეკრულების და საჯარო აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალის ფორმების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 იანვრის №5 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 05/02/2015, 010250050.35.163.016244) და ამავე დადგენილებით დამტკიცებულ ფორმებს დაემატოს ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმის ფორმა დანართი №7-ის შესაბამისად, საჯარო აუქციონში მონაწილის განაცხადის ფორმა დანართი №8-ის შესაბამისად და საჯარო აუქციონში დამარცხებული მონაწილის „ბე“-ს დაბრუნების მოთხოვნის განცხადების ფორმა დანართი №9-ის შესაბამისად.
2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №7*

ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემისას აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი
№

ქ. თელავი ,,--------------------“ 201 წ.

ეს ოქმი გაიცა------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------

(აუქციონში გამარჯვებული (ქონების სარგებლობის უფლებით მიმიღები) ფიზიკური პირის სახელი, გვარი/ იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა, სახელწოდება და წარმომადგენლის სახელი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტის მონაცემები)

მასზედ, რომ „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, თელავის მუნიციპალიტეტის ქონების
------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------

(ქონების დასახელება, მისამართი, მონაცემები შესაბამისი რეესტრიდან )

სარგებლობის უფლებით გადაცემის საწყისი ფასი-----------------(--------------------)
(ციფრებით/სიტყვიერად)

სარგებლობის უფლებით გადაცემის მიზნით თელავის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების და სარგებლობის უფლებით განკარგვის მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიის მიერ 201 წლის -------------- ჩატარებულ უპირობო/პირობებიან საჯარო აუქციონზე მის მიერ შემოთავაზებული ფასის -------------------- საფუძველზე გამოვლინდა გამარჯვებულად და მას „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, ოქმით ნაკისრი ვალდებულებების

შესრულების პირობით, ----------------- წლის ვადით სარგებლობაში გადაეცა თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
------------------------------------------------------------------------------------------------
-----------------------------------------------------------------------------------------------

(ქონების დასახელება, მისამართი, საკადასტრო კოდი, მონაცემები შესაბამისი *მარეგისტრირებელი ორგანოდან)*

ქონება.

1. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ვალდებულია, ოქმის საფუძველზე 30 კალენდარული დღის ვადაში ქონების მმართველთან გააფორმოს სარგებლობის ხელშეკრულება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს შეტანილი ბე/ უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ეთვლება სარგებლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბოლო წლის გადასახდელი ქირის ოდენობაში.

3. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები ვალდებულია, მისთვის გადაცემული მუნიციპალიტეტის ქონების გამოყენებისას დაიცვას აუქციონის ან/და სარგებლობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები, სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, და მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ მოთხოვნისთანავე წარუდგინოს ონფორმაცია ქონების მმართველს. სარგებლობის ხელშეკრულებით მხარეთა მიერ შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს ინფორმაციის წარდგენის სხვა ვადა.

4. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს უფლება არა აქვს, მუნიციპალიტეტის სარგებლობის უფლებით მიღებული ქონება, სარგებლობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სარგებლობის უფლებით გადასცეს (მათ შორის გააქირაოს, იჯარის, თხოვების ფორმით გადასცეს) ან სხვაგვარად დატვირთოს თელავის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან შეუთანხმებლად. მასთან, იგი პასუხისმგებელია მიღებული ქონების მოვლა-პატრონობასა და დაცვაზე.

5. სარგებლობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ეძლევა წერილობითი გაფრთხილება, რომელშიც მიეთითება დარღვევის გამოსწორების ვადა და პირგასამტეხლოს ოდენობა, პირგასამტეხლო განისაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით, სახელშეკრულებო პირობებიდან გამომდინარე, კერძოდ:

ა) ქირის გადაუხდელობის შემთხვევაში გადაუხდელი ქირის 0,1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე:

ბ) საინვესტიციო ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დარჩენილი განსახორციელებელი ინვესტიციის 0,1%, დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

გ) მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღების მიერ აუქციონის ან/და სხვა სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრება სარგებლობის ხელშეკრულებით.

6) სარგებლობის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის განმეორებით გამოვლენის შემთხვევა და/ან დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა მიიჩნევა სარგებლობის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძვლად ქონების მმართველის მიერ. მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს არ უბრუნდება გადახდელი თანხა და არ უნაზღაურდება მის მიერ გაწეული სხვა ხარჯები.

/ქონების მმართველი/

/-----------------------------------------------/ /---------------------/

(სახელი/გვარი) (ხელმოწერა)

აუქციონში გამარჯვებული პირი (მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით მიმღები):

/-------------------------------------/ /---------------------/

(სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

*დანართი №8*

საჯარო აუქციონში მონაწილის განაცხადის
ფორმა

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით
პრივატიზების და სარგებლობის უფლებით განკარგვის
მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს

მოქალაქე/იურიდიული პირი:------------------------------------------
მისამართი:------------------------------------------------------------
პირადი №/საიდენ.კოდი---------------------------------
ტელ:----------------------------------------------------

**გ ა ნ ა ც ხ ა დ ი**

გაცნობებთ, რომ სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის მიერ ---------------------------------------------------------------------------

**(წელი, რიცხვი, თვე)**

გამოცხადებულ უპირობო/პირობებიან საჯარო აუქციონში თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის

------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**(ქონების მდებარეობა, დასახელება, მიწის კატეგორია, ს/კოდი, საწყისი ფასი და ლოტის №)**

შეძენის/სარგებლობის უფლებით მიღების მიზნით. გავეცანი და სრულად ვეთანხმები აუქციონის წესსა და პირობებს (პირობებიანი აუქციონის შემთხვევაში). ჩემს მიერ გადახდილია ,,ბე“ და ბილეთის ფასი.

დანართი:

1. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის/პასპორტის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);
2. მოქმედი ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).
3. სანოტარო წესით დამოწმებულ მინდობილობა (თუ საჯარო აუქციონში მონაწილეობის მსურველი მოქმედებს სხვა პირის სახელით);
4. გადახდილი ,, ბე“-ს ქვითარი;
5. გადახდილი ბილეთის ფასის ქვითარი;

განმცხადებლის ხელმოწერა                                        თარიღი:

საკრებულოს თავმჯდომარე                    პაატა გიორგობიანი

*დანართი №9*

საჯარო აუქციონში დამარცხებული მონაწილის „ბე“-ს დაბრუნების
მოთხოვნის განცხადების ფორმა

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის ქონების საჯარო აუქციონის ფორმით
პრივატიზების და სარგებლობის უფლებით განკარგვის
მუდმივმოქმედ სააუქციონო კომისიის თავმჯდომარეს

მოქალაქე/იურიდიული პირი:------------------------------------------
მისამართი:-----------------------------------------------------------
პირადი №/საიდენ.კოდი---------------------------------
ტელ:---------------------------------------------------

განცხადება

გაცნობებთ, რომ ამა წლის ------------------ მონაწილეობა მივიღე თვითმმართველი თემი
(რიცხვი, თვე)
თელავის მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ უპირობო/პირობებიან საჯარო აუქციონში თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თელავის მუნიციპალიტეტის

----------------------------------------------------------------------------------------------------

(ქონების მდებარეობა, დასახელება, მიწის კატეგორია, ს/კოდი, საწყისი ფასი და ლოტის №)

შეძენის/სარგებლობის უფლებით მიღების მიზნით და ვერ გავიმარჯვე. გთხოვთ, გადახდილი „ბე“-------------------------------------- დამიბრუნოთ შემდეგ რეკვიზიტებზე:
(თანხა ციფრებით, სიტყვიერად)

მიმღები:
პირადი №/საიდენ.კოდი:
მიმღები ბანკი:
ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:

განმცხადებლის ხელმოწერა თარიღი:

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი